

ნინო დოლიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
არაბისტიკის დეპარტამენტი

არაბული მაკამა და ესპანური პიკარესკული რომანი
(ალ-ჰამაზანის მაკამებისა და უცნობი ავტორის „ლაზარილო ტორმესელის
ცხოვრების“ შედარებითი ანალიზი)

„შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა XXI ს-ის მეცნიერებაა. ამ კვლევაში კი დიდი როლი მიენიჭება არაევროპულ ლიტერატურას, კერძოდ, არაბულენოვანს და, ბუნებრივია, მაკამებსაც.“ — აღნიშნავდა ბერკლის უნივერსიტეტში მოღვაწე ორიენტალისტი ჯეიმს თომას მონროუ.¹ კლასიკური არაბული მაკამები მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა აღმოსავლურ მნერლობაში და საინტერესო მასალას წარმოადგენს შედარებითი კვლევისთვის, რადგან ერთი მხრივ, ის ავლენს გარკვეულ მსგავსებას ანტიკურ ლიტერატურასთან², მეორე მხრივ კი, ევროპულ პიკარესკულ თხზულებებთან.³ წინამდებარე სტატიაში შევჩერდებით არაბული მაკამისა და ესპანური პიკარესკული რომანის ურთიერთყავშირის საკითხზე. პირველ მაკამურ ციკლად მიჩნეული, ალ-ჰამაზანის მაკამებისა (X ს.) და პირველ ესპანურ პიკარესკულ რომანად აღიარებული, უცნობი ავტორის „ლაზარილო ტორმესელის ცხოვრების“ (XVI ს.) შედარება, მათ შორის არსებული კონკრეტული მსგავსებისა თუ განსხვავების გამოვლენა დაგვეხმარება, ვიმსჯელოთ ორ ლიტერატურულ ჟანრს შორის არსებულ შესაძლო კავშირზე. თავდაპირველად, ზოგადად მიმოვიხილოთ თოთოეული მათგანი.

კლასიკური არაბული ლიტერატურის პროზაული ჟანრი მაკამა X ს - ში წარმოიშვა და უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელდა ინდოეთიდან მოყოლებული ესპანეთის ჩათვლით. მაკამა მოკლე მოთხრობაა გამოგონილ გმირზე, რომლის შესახებ მთხრობელი ჰყვება. ავტორი, ჩვეულებრივ, ქმნის რამდენიმე ათეული მაკამისაგან შემდგარ ციკლს. თითოეულ მათგანში მთხრობელი ხვდება ქალაქიდან ქალაქში მოგზაურ მთავარ გმირს და გვიამბობს მისი ქადაგებისა თუ თაღლითური საქციელის შესახებ. კლასიკური მაკამების პროტაგონისტი მცოდნე, განათლებული, მაგრამ მატყუარა, გაიძვერა ადამიანია. ის მოხეტიალე პოეტია, ავანტიურისტია, რომელიც მჭევრმეტყველებით ირჩენს თავს და ხმირად ცრუობს. მისი ტყუილის მსხვერპლი ზოგჯერ თავად მთხრობელია, რომელიც ყოველ ჯერზე საყვედურობს მთავარ გმირს ჩადენილი თაღლითური საქციელის გამო. შინაარსის თვალსაზრისით დამოუკიდებელ მაკამებს სწორედ ეს ორი მთავარი პერსონაჟი აერთიანებს. არაბული მაკამები თითქმის უნყვეტი საჯირი (გარითმული პროზით) ხასიათდება, რომელშიც ჩართულია ლექსები.⁴ კლასიკური არაბული მაკამების ორ უმნიშვნელოვანეს ავტორად მიჩნეულია ბადი⁵ აზ-ზამან ალ-ჰამაზან (969-1007), რომლის სახელს მაკამის ჟანრის წარმოშობა უკავშირდება, და ალ-ტარბი ალ-ბარი (1054-1122), რომლის შემოქმედებაშიც მაკამამ განვითარების მწვერვალს მიაღწია.

¹ J.T. Monroe, (translator and author of the Introduction), *al-Maqāmāt al-luzumīyyah by Abu al-Tahir Muhammad ibn Yusuf al-Tamīmī al-Saraqustī ibn al-Ashtarkuwī* (d.538/1143) (Leiden-Boston- Köln: E.J. Brill, 2002), 15.

² G. E von Grunebaum, Avicena's Risāla fi-l-išq and courtly love. - *Journal of Near Eastern Studies*, Vol. XI, 4 (1952), 237.

³ Monroe, *al-Maqāmāt al-luzumīyyah by Abu al-Tahir Muhammad ibn Yusuf al-Tamīmī al-Saraqustī ibn al-Ashtarkuwī* (d.538/1143), 11.

⁴ მაკამის ფორმის შესახებ იხ.: 6. დოლიძე, მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში (თბილისი, 2010), 18-21.

ესპანური პიკარესკული ლიტერატურა XVI ს-ის შუა ხანებიდან იღებს სათავეს. სიტყვა *picaresque* მომდინარეობს *pícaro*-სგან, რაც ესპანურად „თაღლითს“, „გაქნილს“, „ოინბაზს“ ნიშნავს. პიკარული ნაწარმოები რეალისტური, სატირული მონათხრობია, რომელიც თაღლითი პერსონაჟის თავგადასავალს გადმოგვცემს. გმირი, როგორც წესი, დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება, რომელსაც კორუმპირებულ, მორალურად დაცემულ საზოგადოებაში გამჭრიახობით გააქვს თავი. პიკაროს თავგადასავალი სასაცილოა, მკითხველის გასართობადაა გამიზნული და ამავე დროს ის სოციუმში გაბატონებული სხვადასხვა სახის უსამართლობას გამოავლენს. ამ სტილის რომანი ესპანეთში წარმოიშვა, XVII-XVIII სს-ში ევროპაში განვითარდა. პირველ პიკარესკულ მცირე რომანად პირფერი ლაზარილიოს თავგადასავალს მიიჩნევენ — „ცხოვრება ლაზარილიო ტორმესელისა, და მისი ბედი და უბედობანი“, რომელიც ანონიმა ავტორმა დაწერა და 1552 წელს გამოაქვეყნა.⁵ პიკარესკულად მიიჩნევენ ბენვენიტო ჩელინის ავობიოგრაფიას (1558), მატეო ალემანი და ენეროს „თაღლითი გუსმან დე ალფარაჩეს (ცხოვრებას“ (1599) და სხვ.⁶

ერთი შეხედვითაც თვალნათლივია, რომ ამ ორი, სხვადასხვა ეპოქასა და კულტურულ სივრცეში წარმოქმნილი უანრის ნაწარმოებებს მანანწალა თაღლითი პერსონაჟის არსებობა გამოარჩევთ. მათ შორის კონკრეტული მსგავსებისა თუ განსხვავების გამოსავლენად ფორმისა და შინაარსის თვალზეისით გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

1. მაკამების, როგორც მხატვრული სიტყვაკაზმული უანრის, გარეგან ფორმას, პირველ რიგში, წარმოადგენს საჯების, რომელშიც ლექსებია ჩართული. ტექსტის პროზაული ნაწილი მთლიანად გარითმული პროზითაა გადმოცემული. მაგალითად მოვიყვანთ ალ-ჰამაზიანის „ბალდაფური მაკამის“ პირველ ფრაზას:

إِشْتَهِيَّتِ الْأَذَادُ وَأَنَا بِبَغْدَادٍ، وَلَيْسَ مَعِيْ عَقْدٌ عَلَى نَقْدٍ...⁷

იშთავაპატუ-ლ-აზედ ვა ან> ბიბალდედ, ვა ლამასა მა 'ტ 'აკდ 'ალა ნაკდ...⁸

ეს ფორმა ქმნის რიტმულად არაორგანიზებულ ტექსტს, ხოლო გარითმვა არ ემორჩილება კონკრეტულ წესს. ამგვარი საჯი 'ი IX-X სს-ში შეიქმნა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის არქაული საჯი 'ის ტრანსფორმაციის შედეგი იყო.⁹ საჯი 'ს, როგორც არაბული ლექსის უძველეს ფორმას, აქტიურად იყენებდნენ ქურუმები, კულტის მსახურნი და წინასწარმეტყველნი. ალბათ ამიტომაც დარჩა ის წარმართული ხანის ფოლკლორის მოვლენად და არ გავრცელდა არაბულ ლიტერატურაში. IX ს-ის შუა ხანებიდან გარითმული პროზა გამოჩნდა ხალიფათა ქადაგებეში¹⁰, ხოლო X ს-ში საჯი 'ი უკვე არა მხოლოდ აუდიტორიის წინაშე გამომსვლელთა სიტყვის, არამედ ეპისტოლების აუცილებელი ფორმაც გახდა.¹¹ მაკამის უანრის შექმნელად მიჩნეული ალ-ჰამაზანი სწორედ იმ დროს მოღვაწეობდა, როცა გარითმული პროზა ყველგან გამოიყენებოდა, ადმინისტრაციულ საქმიანობაშიც კი. ბუნებრივია ის, რომ პირველი მაკამები ამ ფორმით დაიწერა. შედეგად, საჯი 'ი მხატვრული კომპოზიციის ნაწილადაც იქცა.

⁵ სავარაუდოდ, მან ვინაობა ინკვიზიციის საფრთხეს გამო დამალა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც დაიწყო ესპანური ინკვიზიციის განხორციელება ლუთერანების წინააღმდეგ. ნაწარმოებში კი კლერიკალური წრეებია გაკრიტიკებული. ესპანური ინკვიზიცია, რომელსაც 1480 წლიდან დაედო სათავე (ჩანაცვლა რა შუასაუკუნეების ინკვიზიცია, რომელიც რომის პაპის კონტროლს ექვემდებარებოდა) მიზნად ისახავდა ქრისტიანობის განმტკიცებას ახლადმოქცეულ იუდეველებსა და მუსლიმებს შორის. 1501 წ-დან იმ მუსლიმს და ებრაელს, რომელიც არ გაქრისტიანდა, ქვეყნის დატოვება მოსთხოვებს.

⁶ ვიკიპედია - http://www.en.wikipedia.org/wiki/Picaresque_novel

⁷ ალ. ლევაიშვილი, საკითხთავი წიგნი არაბულში (თბილისი, 1979), 120.

⁸ მომინდა ფინიკი, რომა ვიყავი ბალდაფში, და არ მქონდა ფული....

⁹ ଅ. ସିଲ୍ଲାଘାରୀ, ଅରାଧୁଳୀ ସାଜ୍ଜିର ଶ୍ରେଣୀରେ - କୁଳତ୍ତରିକା, ଇନ୍ଦ୍ରାନୀଲିଙ୍ଗ ଓ ପରିମାଣରେ ବନ୍ଦିରେ ପରିଚାରିତ ହେବାର ପରିମାଣ (ଟବିଲ୍‌ଲିଙ୍ଗିକ୍ ୨୦୦୯), ୮୯.

¹⁰ عبد القادر حسين، فن البدع، دار الشروق، بيروت، 1983، 127.

¹¹ (1975) شرق، صيف، تاريخ الأدب العربي (4)، العصر العباسي، الثاني، دار المعارف بمصر، القاهرة، 561.

მაკამების ტექსტში გარითმული პროზისა და პოეტური ნიმუშების შერევაზე არაერთმა მკვლევარმა გააკეთა აქცენტი. გრუნებაუმი მიუთითებს, რომ მაკამებში პროზისა და პოეზის თანაარსებობა სულაც არ არის ახალი და ეს ისლამამდელი მოვლენა.¹² მონროუს აზრით კი, მაკამებში ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. ალ-ჰამაზინი მდე სალიტერატურო ენაში, რომელიც მკაცრად ემიჯნებოდა სალაპარაკოს, გამოყოფდნენ ლექსისა და პროზის ენას. აქედან პირველი — სიმბოლოებით სავსე, ხოლო მეორე გაცილებით პირდაპირი და თან დიდაქტიკური იყო. ალ-ჰამაზინი პროზაში რითმის გამოყენებით და ლექსების ჩართვით პოეტურობა მიანიჭა მაკამებს. მაკამებში გამოჩენდა გმირი, რომელიც პოეტიც იყო და პროზაიკოსიც. ის მკითხველს „პირდაპირ“, სიმბოლოების გარეშე, უშუალო ენით ელაპარაკებოდა.¹³

კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება: „[მაკამებში] გარითმულ პროზას ცვლის პოეზია. ტყუილი დაკავშირებულია საჯ'თან, სიმართლე — ლექსთან. ფუნქციები პირიქითაა განაწილებული ყურანში, სადაც უმთავრესად გარითმული პროზაა, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გვამცნობს. პოეტი კი სიმართლის არმთქმელადაა გამოყვანილი (სურა 26, აია 224-6). მაშასადამე, ყურანში პროზა ჭეშმარიტებაა, პოეზია — ტყუილი, ხოლო მაკამებში პროზა ტყუილია, პოეზია კი — ჭეშმარიტება“¹⁴. მონროუ აქ გულისხმობს იმას, რომ მაკამებში გარითმული პროზით გადმოცემულია მთავარი გმირის თაღლითური ქმედება, ხოლო ლექსებით — შეგონებები, ჭეშმარიტება. ერთი შეხედვით, ეს ირონია. თუმცა, მისი აზრით, საბოლოოდ მაკამებში ყურანი კანონიერადაა აღიარებული.

პირველი მაკამური ციკლი ფაქტობრივად ექსპრომტად შეიქმნა, რადგან მისი ავტორი ალ-ჰამაზინი ექსპრომტის დიდოსტატი იყო და ხშირად თავად იმყოფებოდა მოგზაური პოეტი-ორატორის როლში, რომლის ზეპირად შეთხზულ თხზულებებს მოწაფები იწერდნენ. ამიტომ მაკამებში მოხეტიალე ორატორი პერსონაჟის გაჩენა არ არის გასაკვირი. საგულისხმოა, რომ იმ პერიოდში სიტყვით გამომსვლელი თანაბრად კარგად უნდა ყოფილიყო განაფული როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. შესაძლოა, მაკამების მთავარი გმირიც თავისდაუნებურად ამ რეალობის ამსახველად მოგვევლინა.

ამდენად, მაკამების სახით არაბულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში საჯ'ის გამოჩენა ერთგვარ ნოვაციას უკავშირდება. ის ესთეტიკური სილამაზის გარდა, დინამიურობას ანიჭებს ამბის თხრობას.

ფორმის ასეთი თავისებურებით არ გამოირჩევა პირველი პიკარესკული თხზულება, რომელიც ჩვეულებრივი პროზითაა დაწერილი. თუმცა თხრობა აქაც საკმაოდ დინამიურია. უშუალო და მარტივი ენითაა გადმოცემული ლაზარილიოს თავგადასავალიც, რომელიც ავანტიურული ხასიათით არ ჩამოუვარდება მაკამების გმირის აბჟ-ლ-ფათმ ალ-ისქანდარის (ანუ ალექსანდრიელის) მოგზაურობას. „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ არც ლექსებია ჩართული, თუმცა ხშირია სენტენციები, ანდაზური თქმები, რომორიცაა მაგ.: „პურადვიოს მეტს გამორჩები შიშველზედაო“¹⁵, „საქონელს ცუდად დასდებ და ქურდს ცოდვაში ნუ ჩააგდებო“¹⁶, „შიმშილი ჭკუას ლესავსო და მაძლრობა კი უჩლუნგებსო“¹⁷ და სხვ., რაც ნაწარმოებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც მაკამებში — შეგონებისშემცველი ლექსები. მაკამებისათვის დამახასიათებელი პროზისა და პოეზიის მონაცვლეობა პიკარესკულ თხზულებებში არ ჩანს.

¹² G. E von Grunebaum, *The Spirit of Islam as shown in its Literature - Studia Islamica* (1953-1955), 117.

¹³ Monroe, *al-Maqāmāt al-luzumīyyah ibn al-Ashtarkuwi*, 9.

¹⁴ იქვე, 9

¹⁵ უცნობი ავტორი, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება - თარგმნა პეტრე უმიკაშვილმა (რუსული ენიდან, პანტელეევის გამოცემული ტექსტი), ა. განერელიას ბოლოსიტყვაობით (საქ. სსრ. საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სახ. გამომცემლობა, თბილისი, 1959), 17.

¹⁶ იქვე, 19

¹⁷ იქვე, 37.

2. მაკამების გარეგანი ფორმის მეორე მთავარი ნიშანი არის ციკლურობა. არავინ წერს ერთ ცალ მაკამას. ალ-ჰამაზანის მაკამების რიცხვი 51-ს აღნევს. როგორც ცნობილია, შუასაუკუნეებში ჩარჩოსებრი სტრუქტურა ფართოდ იყო გავრცელებული მთელს აღმოსავლეთში (საკმარისია დავასახელოთ „ათას ერთი ლამე“, „ქილილა და დამანა“). საერთოდ, ეპიზოდურობა, ციკლურობა ნიშანდობლივია ზეპირსიტყვიერებისთვის. ნარაციის დასაზღვრულობა ჩანს შემდეგ დაიწყო. რაკი აბასიანთა ეპოქაში ლიტერატურის ორივე სახეობა თანაარსებობდა — წერილობითიც და ზეპირიც, წერილობით ნანარმოებებს, რომელთა წაკითხვა ძირითადად ხმამაღლა, ფართო აუდიტორიის წინაშე ხდებოდა, ზეპირსიტყვიერების დაღი დაესვათ.¹⁸ გარკვეულწილად, ამანაც განაპრობა ტექსტის სეგმენტაცია, ეპიზოდური სტრუქტურის არსებობა შუასაუკუნეების პროზაულ თხზულებებში. ალ-ჰამაზანის მიერ წინასწარ შეთხზული თუ ექსპრომტად წარმოთქმული მაკამები იყო ერთგვარი ვერბალური პერფორმანსი აუდიტორიის, მოსწავლეების წინაშე, რომელიც დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა, რაღაც ეტაპზე ამბის თხრობა უნდა შეწყვეტილიყო. ამიტომაც იყო ბუნებრივი და მოსახერხებელი მისი ეპიზოდებად დაყოფა. თითოეულ მაკამაში დამოუკიდებელი სიუჟეტი ვითარდება, ხოლო ძირითადი ჩარჩო მთავარი გმირის ხეტიალის ამბით აიგება. ცალკეულ მაკამაში ასახულია ის, თუ რისი მოწმე ხდება თავად მთხრობელი გმირის მოგზაურობის დროს მას შემდეგ, რაც ისინი შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს.

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ რვა თავისიგან შედგება. ლაზარილიოს ავტობიოგრაფია გადმოცემულია ისე, რომ თითოეულ თავში ერთ პატრონთან ცხოვრების ამბავია ასახული. ნანარმოები ლაზარილიოს მამის გარდაცვალებით იწყება. დედამისმა ის, ობოლი და უქონელი, ერთ ბრძანს მიაბარა. აქედან დაიწყო მთავარი გმირის წანნალი ერთი პატრონიდან მეორესთან. როგორც მაკამებში, აქაც წარმოდგენილი თავები შინაარსის თვალსაზრისით ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ეპიზოდებია, ხოლო სიუჟეტის საფუძველს წარმოადგენს მთავარი გმირის ხეტიალი სარჩო-საბადებლის საშოვნელად. პიკარესკული რომანი ეპიზოდებით თხრობის კლასიკური სქემით კომპოზიციურ ნათესაობას ამჟღავნებს უფრო ადრინდელი ეპოქის აღმოსავლურ პროზაულ თხზულებებთან, რომლებიც ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო აშკარად ზეპირსიტყვიერების დაღს ატარებენ. ამის შესახებ აკ. განერელია აღნიშნავს: „სიუჟეტური სქემის მხრივ ნანარმოებში ამბები გარკვეული წესითა და მოტივაციით არის გადმოცმული. მთლიანობის დასაცავად გამოყენებულ ასეთ კომპოზიციურ ხერხს ბევრი საერთო აქვს აღმოსავლური ეპოსის ზოგიერთ ფორმებთან. თუ გავიხსენებთ „ქილილა და დამანას“, „თიმსარიანს“ და სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“, ადვილად შევამჩნევთ იგავ-არაკების ამ კრებულებსა და პიკარული ნოველების წიგნს შორის არსებულ კომპოზიციურ ნათესაობას“.¹⁹

მაშასადამე, პირველი მაკამური ციკლის შემთხვევაში ჩარჩოვანი სისტემა იყო ის ფორმა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო (და მათ შორის მნიშვნელოვანია პროზაული ნანარმოებების ზეპირად კითხვის ტრადიცია თავშეყრის ადგილებზე) მიღებული გახლდათ აღმოსავლურ მნერლობაში, ხოლო პირველი პიკარესული თხზულება ამ თვალსაზრისით აღმოსავლური პროზის გავლენას განიცდის. XVI ს-ის ევროპაში ბეჭდვითი ორგანოები უკვე შემოსული იყო (ცნობილია, რომ „ლაზარილიო ტორმესელის“ ტექსტი პირველად ბურგოსის, შემდეგ კი ენარესისა და ანტვერპენის სტამბებში დაიბეჭდა) და ამდენად, მისი დამოუკიდებელ თავებად დაყოფა ზეპირსიტყვიერების გავლენით ნაკლებად იქნებოდა შესაძლებელი.

3. პირველ მაკამურ ციკლშიცა და პირველ პიკარესკულ თხზულებაშიც თხრობა პირველ პირშია — ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება — ბოლოსიტყვაობა, 98.

¹⁸ D. A Wacks, The Performativity of Ibn al-Muqaffa’s *Kalīla wa Dimna* and al-Maqāmāt al-Luzumīyyah of al-Saraqūstī – Journal of Arabic Literature, 34 (2003), 180.

¹⁹ აკ. ანერელია, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება — ბოლოსიტყვაობა, 98.

თავგადასავალს, ხოლო მაკამებში პროტაგონისტის ხეტიალის ამბავს მთხოვნელი გადმოგვცემს. ორივე შემთხვევაში გმირი უშუალო მონაწილეა მოთხოვნელი ამბისა. თუმცა მთხოვნელის, როგორც ნანარმოებში ასახული ამბის თვითმხილველის არსებობა, მაკამებში სრულიად სპეციფიკურ სახეს იძენს, რაც პიკარესკულ თხზულებაში არ ხდება.

ალ-ჰამაზანი მაკამებში გამოყენებულია ე.წ. „ფიქტიური ისნადი“²⁰

მთხოვნელის არსებობა ანუ მხატვრული ისნადი პირველ მაკამურ ციკლში იმ ეპოქის პოეტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე გაჩნდა, რომელშიაც დაიბადა მაკამა, როგორც უანრი. კერძოდ, ცნობილია, რომ შუასაუკუნეების მსმენელისთვის (თუ მკითხველისთვის) მთავარი მოთხოვნელი ფაქტების აუთენტურობა იყო.²¹ როგორც ძველ ებრაულ, ასევე კლასიკურ არაბულ ლიტერატურასა და ჰადისებში²² არსებობდა გადამცემთა „ჯაჭვი“, რასაც მკითხველი მოთხოვნელის ისტორიულ რეალობაში უნდა დაერწმუნებინა. თავიდან ეს მოვლენა რელიგიური მოტივაციით ებრაულ ლიტერატურაში გაჩნდა. კანონიკური არაბული ლიტერატურა — ე.წ. ადაბი იმდენად ავტორიტარული აღმოჩნდა, რომ ისტორიულობა, რეალურობა იმ პროზაული უანრების აუცილებლობადაც აქცია, რომელთაც რელიგიისთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ.²³ ასეთი მხატვრული უანრია მაკამაც. ‘აბდ ალ-ფათ» ქადაგი აღნიშნავს: „მაკამებში ტექსტი გადმოიცემა ჯერ ერთი (იგულისხმება მთხოვნელი), შემდეგ მეორე (იგულისხმება ავტორი) რაგის²⁴ მიერ ისევე, როგორც პოეზიის ძველი ნიმუშები (ზეპირსიტყვიერი პოეზია), უფრო მოგვიანებით კი ჰადისები გადმოიცემოდა დიდი სიზუსტითა და აკურატულობით რვიების (გადამცემთა) მიერ. განსხვავება იმაშია, რომ მაკამის შემთხვევაში ერთ-ერთი რაგი გამოგონილია“.²⁵ მაშასადამე, მაკამებში თითქოს მთხოვნელი ავტორს უყვება თავისი თვალით ნანახს, ავტორი კი ამ ამბავს ჩვენ — მკითხველებს გადმოგვცემს. მაგრამ ის ფაქტი, რომ მთხოვნელი რეალობაში არარსებული, გამოგონილი ჰერსონაჟია, ამ შემთხვევაში მოთხოვნელი ამბის ნამდვილობას კი არ უსვამს ხაზს, არამედ მის მხატვრულობას.

პიკარესკულ თხზულებაში პირველ პირში თხრობა იმ ტრადიციით არ არის განპირობებული, რომ მკითხველი აუცილებლად ამბის აუთენტურობაში უნდა დარწმუნდეს. თუმცა, საყურადღებო ფაქტია ის, რომ სარაინდო რომანებში, რაც უშუალოდ უძლოდა წინ პიკარესკული თხზულებების აღმოცენებას, თხრობა მესამე პირშია. აქ კი ავტორი ლაზარილიოს პირით გვიყვება ამბავს. შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც პიკარული თხზულება აღმოსავლური ლიტერატურის გავლენას განიცდიდეს, სადაც პირველ პირში თხრობას კონკრეტული მოტივაცია ჰქონდა. ამ მოსაზრებას აკ. განერელიას სიტყვებიც ადასტურებს: „ეპიზოდების განვითარების ხერხის სათავე ორიენტალურ სფეროში უნდა ვეძიოთ. ევროპის ფოლკლორსა და „დეკამერონში“ ბევრია აღმოსავლეთიდან ნასესხები სიუჟეტური ხერხები. „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაც“ ამხელს, რომ მისი ავტორი გაცნობილი

²⁰ ისნადი — მოწმეთა, გადამცემთა ჯაჭვი, რომელიც მოთხოვნელი ამბის ისტორიულობას, ნამდვილობას ადასტურებს. ფიქტიურ ან მხატვრულ ისნადს უწოდებენ მთხოვნელის არსებობას პროზაულ ნანარმოებში, სადაც ამბის გადმოცემა პირველ პირში „თვითმხილველის“ მიერ ხდება.

²¹ R. Drory, Three Attempts to Legitimize Fiction in Classical Arabic Literature - *JSAI* 18 (1994), 147.

²² ჰადისები - 1) გადმოცემები მოციქულ მუხამადის მოღვაწეობის შესახებ; 2) მოკლე ნარატივი (ერთსიუჟეტიანი ამბავი), რომელიც ერთ კონკრეტულ შემთხვევას გადმოგვცემს.

²³ R. Drory, *Models and Contacts: Arabic Literature and its Impact on Medieval Jewish Culture*. (Leiden-Boston-Köln: E.J.Brill, 2000), 12.

²⁴ რაგი - მთხოვნელი, ისლამის მდებარეობის პოეზიის ნიმუშებისა და ჰადისების გადამცემი.

²⁵ A.Kilito, *Le Genre `séance* - Studia Islamica (xiii, 1976), 25.

უნდა ყოფილიყო ფოლკლორსა და აღმოსავლურ არაკებს. და შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ პიკარული მოთხოვის პირველი ნიმუშის მკვლევარ-ექსპერტთა შორის ამჟამად ყველაზე უფრო ის შეხედულებაა გაბატონებული, რომელიც „ლაზარილიოს“ ავტორად ხალხური ანდაზებისა და არაკების ერთ-ერთ შემგროვებელს აცხადებს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კერძოდ ესპანეთის კულტურა ნაკვებია ადგილობრივი მავრიტანული, ე.ი. აღმოსავლური კულტურის ღრმა ტრადიციებით.²⁶

მაშასადამე, გარეგანი, ფორმალური ნიშნებიდან მაკამებსა და პიკარესკულ რომანს შორის იკვეთება ორი მთავარი მსგავსება:

1. ეპიზოდური სტრუქტურა.
2. პირველ პირში თხრობა.

ასევე ჩანს ორი განსხვავება:

1. მაკამებში გამოყენებული გარითმული პროზა ლექსებით, პიკარესკულ თხზულებაში — ჩვეულებრივი პროზა.
2. მაკამებში არის ე.ნ. ფსევდო ისნადი, „ლაზარილიო ტორმესელში“ — არა.

შესაბამისად, მაკამურ ციკლში ორი მუდმივი პერსონაჟია (აქედან ერთი მთხოველი), პიკარესკულ რომანში — ერთი.

მაკამებისა და პიკარესკული რომანის ფორმის შედარებისას ცხადი ხდება, რომ თუკი ალ-ჰამაზანის ქმნილება იგივეობის ესთეტიკით დაწერილი ნაწარმოებია, პიკარესკული რომანი დაპირისპირების ესთეტიკით შექმნილი ჟანრია (რომლის საბოლოო კანონიზაციის შედეგად რაინდულმა რომანმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა). მაკამის ჟანრი თვითონ შეიცავს არაბულ კანონიკურ ლიტერატურაში (ადაბში) მანამდე არსებულ ლიტერატურულ ჟანრებს, როგორიცაა ანეკდოტი, იგავი, საგმირო ეპოსი, ეპისტოლე, პოეზია. ალ-ჰამაზანის მიერ გამოყენებული გარითმული პროზა (საჯ'ი), ამბის ორმაგი გადმოცემა (ე.ნ. ფიქტიური ისნადი), ჩარჩოსებრი ფორმა, ციტატები არაბული პოეზიდან და ყურანიდან მიუთითებს, რომ მაკამების ავტორი ჩვეულებრივი კომპილატორია, რომელსაც თავად ახალი არაფერი გამოუგონია და არც ჰქონია ამის პრეტენზია. ამგვარი დამოკიდებულება, ტრადიციის ერთგულება შუასაუკუნეების კულტურაში ღირსებად უფრო აღიქმებოდა, ვიდრე ნაკლად. რაც შეეხება „ლაზარილიო ტორმესელს“, აქ არ არის კომპილაცია. პირიქით, პირველი პიკარესკული თხზულება მანამდე გაბატონებულ ლიტერატურულ ტენდენციას უპირისპირდება თუნდაც იმით, რომ შუასაუკუნეების ევროპული სარაინდო რომანისგან განსხვავებით, აქ თხრობა პირველ პირშია და არა მესამეში. ეს უკვე თანამედროვე რომანისკენ გადადგმული ნაბიჯია. ასევე დარღვეულია თხრობის მანამდე გაბატონებული ხელოვნური სტილი, რაც მიიღწევა უშუალობით, არამღალფარდოვანი, ჩვეულებრივი, მისაწვდომი ენის გამოყენებით. პიკარესკული თხზულებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდების განვითარების ხერხი, რაც საფუძვლად დაედო ამ ჟანრის კომპოზიციას, პირველად სწორედ აქ გვხვდება. თუმცა მას აშკარად ეტყობა აღმოსავლური მწერლობის გავლენის კვალი.

მაკამებისა და პიკარესკული რომანის, როგორც ორი განსხვავებული ნარატივის, შედარებისას ყურადღებას იპრყობს სიუჟეტის რიგი თავისებურებანი, განსხვავებანი, რაც განპირობებულია იმით, რომ მაკამებში მეტადაა გამოვლენილი შუასაუკუნეების ესთეტიკური ხედვა. კერძოდ:

1. მაკამებში დრო და სივრცე წყვეტილია. მაში, როგორც ტიპურ მედიევისტურ ძეგლში, არ არის პერსპექტივა — დრო და სივრცე არადექვატურადაა აღქმული. მთავარი გმირი უმოკლეს დროში უზარმაზარ მანძილებს ფარავს, დრო, დროითი თანმიმდევრობა საერთოდ არ ჩანს. გმირი ერთ მაკამაში ერთ ქალაქშია, მეორეში — სხვაგან. მაკამების სათაურები ძირითადად გეოგრაფიულ სახელწოდებებს შეიცავენ, მაგ.: „სიჯისთანის მაკამა“, „ქუფის მაკამა“, „ბალდადის

²⁶ აკ. განერელია, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 99.

მაკამა“ და სხვ., რაც მიუთითებს იმაზე, თუ სად იმყოფება მთავარი გმირი და სად ხდება მოქმედება კონკრეტულ მაკამაში. თუმცა არაფერი ვიცით მთავარი გმირის ცხოვრებაზე ან მოგზაურობაზე მაშინ, როცა მთხოობელი — ‘ის’ იბნ ჰიშმი ვერ ხედავს მას.

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ თხრობა ქრონოლოგიურ პრინციპს ეყრდნობა. გმირის თავგადასავალი თანმიმდევრულადაა მოთხრობილი. ყოველ შემდგომ თავში ლაზარილიოს ამბავი სწორედ იმ მომენტიდან გრძელდება, საიდანაც ნინა თავში შეწყდა. ყოველ ახალ თავში ის ახალ პატრონთან გვევლინება და თავებიც შესაბამისადაა დასათაურებული. მაგალითად: „როგორ ცხოვრობდა ლაზარილიო მღვდელთან და რა გადახდა მას“, „როგორ დაუდგა ლაზარილიო რაინდს და რა გადახდა“, „როგორ ცხოვრობდა ლაზარილიო ბერთან და რა დაემართა“ და სხვ. ის სულ შვიდ პატრონს გამოიცვლის.

პიკარულ თხზულებაში შინაარსის თვალსაზრისით ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ამბებს — თავად ლაზარილიო, ხოლო მაკამებში ორი მთავარი პერსონაჟი — გმირი და მთხრობელი — აერთიანებს იმ განსხვავებით, რომ ლაზარილიო თავის თავგადასავალს თანმიმდევრულად გვიამბობს, ხოლო მაკამებში მთხრობელი ვერაფერს ჰყვება მთავარი გმირის შესახებ იმ მომენტამდე, სანამ არ შეხვდება მას.

2. ალ-ჰამაზების მაკამებში სიუჟეტის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მოქმედებათა ერთგვაროვანი განვითარება. როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების მკითხველს (თუ მსმენელს) იზიდავდა არაერთგზის გაგონილის ხელახლა მოსმენა. მსმენელმა ხშირად ნინასნარ იცის არა მხოლოდ ამა თუ იმ პერსონაჟის გამოჩენის დრო და ადგილი ნაწარმოებში, არამედ ის, თუ რას მოიმოქმედებს ის. მაკამების უმეტესობაში მთხრობელი ჩადის რომელიმე ქალაქში, შემთხვევით ხვდება გარდასახულ, დიდი ხნის უნახავ გმირს, რომელსაც ვერ ცნობს (თუმცა მსმენელმა უკვე ნინასნარ იცის, რომ ეს ის მთავარი გმირი უნდა იყოს, რომელიც გადაცმულია და ვიღაცას მოატყუებს). მთხრობელი ყოველივე ამას „მოგვიანებით“ შეიტყობს და როდესაც „იცნობს“ პროტაგონისტს, უსაყვედურებს თაღლითური საქციელის გამო. შემდეგ კი მთავარი გმირი თავს იმართლებს და ისინი შორდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ აქედან აბსოლუტურად ყველა პუნქტი ალ-ჰამაზების ყველა მაკამაში არ მეორდება, მოქმედებათა ერთნაირი თანმიმდევრობა მაინც თვალში საცემია. მაკამებში ზოგჯერ მოტყუების, ფულისა თუ საკვების შოვნის ხერხიც კი მეორდება. თუმცა მოულოდნელობის ეფექტი, რაც ასე „არ უყვარდათ“ შუასაუკუნეებში, მაკამებში მცირე დოზით მაინც არსებობს: ცნობილია, რომ თაღლითი გმირი სარჩის საშოვნელად აუცილებლად რაღაც ხრიკს მიმართავს, მაგრამ მკითხველი ნინასნარ ვერასოდეს გათვლის, ამჯერად როგორი იქნება ეს ტყუილი.

„ლაზარილო ტორმესელის ცხოვრებაში“ არ გვხვდება სიუჟეტის ერთგვაროვანი განვითარება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მთავარი გმირი ყოველთვის იმედგაცრუებულია, რაც ერთი ეპიზოდიდან (ერთი პატრონიდან) მეორე ეპიზოდზე (მეორე პატრონთან) გადასვლის მთავარი მოტივაცია ხდება. მისი პირველივე პატრონი — ბრმა ისე ამიმშილებს ლაზარილიოს, რომ ეს უკანასკნელი იძულებულია იცრუოს, იქურდოს. ერთი სული აქვს, გაექცეს. ფაქტობრივად, იგივე მეორდება შემდეგ პატრონთან — მღვდელთან, რომელიც ლაზარილიოს საჭმელს კიდობანში უმაღავს. ბრმისაგან განსხვავებით მღვდელი ყველაფერს კარგად ხედავს და ლაზარილიოსაც ქურდობაში კიდევ მეტად განაფვა უხდება იმისთვის, რომ თავი გადაირჩინოს. მეორდება ის, რომ მთავარი გმირი იძულებულია, იცრუოს, მოიპაროს, რაიმე ხრიკს მიმართოს, შიმშილით სული რომ არ გაძრვეს, და ამას ის სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად ახერხებს.

2. კლასიკური მაკამებისთვის დამახასიათებელია მოქმედებათა პირობითობა. მაგალითად, მთხრობელი თავიდან ვერასოდეს ცნობს მთავარ გმირს, რომელსაც მანამდე არაერთხელ შეხვედრია, პერსონაჟები მოკლე დროში დიდ მანძილებს

ფარავენ და სხვ. ამგვარი მოვლენები, სიტუაციების სტერეოტიპულობა, თხრობის მონოტონურობა, უსაგნო მრავალსიტყვაობა და სხვ. არ უნდა აღვიქვათ, როგორც ნაწარმოების სისუსტე, არამედ როგორც აუცილებლობა, რომელიც შუასაუკუნეებში გაბატონებული მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა.

„ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ მსგავსი მოვლენები არ ჩანს. არ გვხვდება გამეორება და პირობითი ქმედებები. თუმცა, მაკამების მსგავსად, არც პირველ პიკარესულ თხზულებაშია იმ ქალაქების აღნერა, სადაც გმირი ჩადის, ან ბუნებისა და პეიზაჟების სურათის გაცოცხლება — სიუჟეტის გავრცობა სტატიკური სიტუაციებით. თუმცა რამდენიმე ადგილას ჩანს პორტრეტი, რაც მაკამებში ჯერ კიდევ არ არის. მაგალითად, ასე აღნერს ლაზარილიო თავის მესამე პატრონს — გაღატაკებულ რაინდს: „მოდიოდა ქუჩაში მართებულად ჩაცმული, ლამაზად თმადავარცხნილი, მიხვრა-მოხვრა და სიარული დარბაისლური ჰქონდა.“²⁷ ან: „გავიდა ქუჩაში ისეთი მედიდურის შეხედულებით და სახით, ვინც კი არ იცნობდა, ეგონებოდა, გრაფ არკოსის ახლო ნათესავი უნდა იყოს ან მისი შინაკაციო.“²⁸ და სხვ.

რაც შეეხება პერსონაჟებს შორის დიალოგს, ის ორივე ნაწარმოებშია.

3. არის მნიშვნელოვანი დეტალი, რაც შუასაუკუნეების მაკამებს თავისი დროისთვის პროგრესულ მოვლენად აქცევს. ეს არის მხატვრულობა. ალ-ჰამაზანის მაკამებში მოთხოვნილია ამბავი, რომელიც რეალობაში არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა, მომხდარიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავარი პერსონაჟი არ არის კონკრეტული, სინამდვილეში არსებული პიროვნება, ხოლო ნაწარმოებში მოთხოვნილი ამბავი არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ფაქტი ირკვევა ალ-ჰამაზანის მიმდევრის ალ-ზარბაზის მაკამების შესავლიდან, რომელიც ხაზს უსვამს — ჩემი წინამორბედივით ვიგონებო პერსონაჟებს. მთავარი გმირი — ალექსანდრიელი მთელი სოციალური ფენის განზოგადებული სახეა, რომელიც X ს-ის არაბულ საზოგადოებაში იმპერიის რღვევასთან ერთად გაჩნდა. ეს იყო განათლებულთა, გაღარიბებულ მოხეტილეთა ფენა, რომელიც იძულებული იყო თავისი ცოდნის გამოყენებითა და ათასგვარი ხრიკებით სარჩო-საბადებელი ეშვონა.

ლაზარილიოც ლარიბი მათხოვრების ფენას განასახიერებს ისევე, როგორც მისი პატრონები — ბრმა მათხოვარი, მღვდელი, რაინდი, ბერი, პაპის შენდობის ქალალდების გამყიდველი, საყდრის წინამდღვარი, ალგვაზილი (პოლიციელი) — კონკრეტულ სოციალურ ფენებზე გვიქმნიან წარმოდგენას. ლაზარილიოს ამბავიც გამოგონილია, რაზედაც უცნობი ავტორი შესავალშივე მიუთითებს: „მგონი უსარგებლო არ იქნება, თუ შესანიშნავ და იქნებ უნახველ და არგაგონილ ამბავს ბევრი შეიტყობს და არ დაიმარხება დავიწყების სამარეში.“²⁹

ამგვარად, მაკამებშიცა და პიკარესულ რომანშიც იქმნება მხატვრული რეალობა, რომელიც მეტ-ნაკლებად რეალისტურად ასახავს არსებულ სოციალურ-ისტორიულ გარემოს. თუ ეს XVI ს-ის ევროპული რომანისთვისაც სიახლეა, რაღა უნდა ვთქვათ X ს-ში დაწერილ მაკამებზე, რომელიც დაინერა მაშინ, როდესაც გაბატონებული ნორმატიული პოეტიკა ყოველგვარ სიალხეს კრძალავდა, მათ შორის ფიქციას, მხატვრულობას, რაც შუასაუკუნეების მსმენელის მიერ აღიქმებოდა, როგორც ტყუილი და ამის შესახებ ხმამაღლა გაცხადებაც კი მიუღებელი იყო.

მართალია, მაკამები ძალიან ადრე დაინერა იმისთვის, რომ მასში მხატვრული რეალობა, გმირის ხასიათი სრულყოფილად წარმოჩენილიყო, მაგრამ თანამედროვე პროზის ყველა ნიშანი ჩანასახოვანი ფორმით შეიძლება აქ გამოიძებნოს.³⁰ ის, რომ მაკამების გმირი ხან მოხუცია, ხან ახალგაზრდა; ის, რომ მაკამებში დრო და სივრცე წყვეტილია; ის, რომ მთხოვნებელი ამბავს პირველ პირში გვიამბობს და ის, რომ მაკამების მკითხველმა (თუ მსმენელმა) წინასწარ იცის, რომ მთავარმა გმირმა უნდა

²⁷ უცნობი ავტორი, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 45.

²⁸ უცნობი ავტორი, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 53.

²⁹ უცნობი ავტორი, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, წინასიტყვაობა ავტორისა, გვ. 3

³⁰ محمد رشدي حسن، اثر المقامة في نشأة القصة المصرية الحديثة، القاهرة، (1984)، 19.

იცრულს, თუმცა ვერასოდეს გათვლის, თუ ამჯერად როგორი იქნება ეს ტყუილი, და სხვა ნიშნები მაკამებს პრე-რომანისტულ ჟანრად აქცევს. პიკარესკული რომანისგან განსხვავებით, ალექსანდრიელის ამბავი კონკრეტული დროიდან გრძელდება ისე, რომ თხრობის ქრონოლოგიურობა არ არის დაცული. ჩვენ არ ვიცით მაკამების გმირის წარსული — საიდან მოდის, გაუგებარია ისიც, თუ საით უნდა წავიდეს. თანამედროვე რომანშიც ხომ შეიძლება გმირის თავგადასავალი განსაზღვრული მომენტიდან იყოს მოთხრობილი. ამგვარად, ცხადია, რომ მაკამები და პიკარესკული რომანი ჟანრობრივად სრულად განსხვავებული პროზაული ქმნილებებია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე შესაძლებელია, რომ მაკამა წინა-რომანულ ჟანრად მივიჩნიოთ.

თუკი პირველი პიკარესკული თხზულება „ახალი რეალისტური პროზის დაბადების სიგნალადა“³¹ არის აღიარებული, მაკამებში რეალობის ასახვა უფრო პრიმიტიულად ხდება. საერთოა ის, რომ ორივე ნაწარმოებში გაჩდნენ ღარიბი პერსონაჟები, მათხოვრები და დევნილები. არც ადაბში³², საიდანაც აღმოცენდა მაკამები და არც სარაინდო რომანში სოციალური ფენების ასეთი ფართო სპექტრი წარმოდგენილი არ ყოფილა. „ლაზარილიო ტორმესელში“ კარგად ჩანს, როგორ იტყუებიან სასულიერო პირები, როგორ თვალთმაქცობენ ბერები და გაღატაკებული აზნაურები, ხოლო მაკამებში ყადებისა და მმართველების უსამართლობის ამბავი აისახება. ამ მხრივ, ორივე ნაწარმოები ეპოქის ისტორიულ წყაროდ შეიძლება გამოდგეს. თუმცა, მათში დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების გაჩენა განსხვავებული საზოგადოებრივი ძვრებით იყო განშირობებული. პიკარესკული რომანი ესპანეთის „ოქროს ხანაში“ დაიბადა — მძლავრი მონარქიის, ესპანეთის კოლონიური პოლიტიკის გამარჯვებისა და დიდი კულტურული აღორძინების ხანაში. ლიტერატურასა და ზოგადად, ხელოვნებაში გაჩენილი რენესანსული ტენდენციები ნელ-ნელა შემოქმედების ცენტრში ადამიანს აყენებდა. „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ აისახა წვრილი ბურუჟაზიის ყოფა-ცხოვრების სურათი, რასაც არასოდეს შეხებიან რაინდული თავგადასავლების ავტორები. ზებუნებრივ, ფანტასტიკურ ქმნილებებზე პოეტური ენით შეთხზულ ამბებსა თუ რაინდულ ისტორიებს კონტრასტულად დაუპირისპირდა „ლაზარილიოს“ რეალისტური პროზა. მაკამების შემთხვევაში კი გმირის ხალხთან დაახლოება სხვა საბაბით იყო განპირობებული, კერძოდ, აბასიანთა „ოქროს ხანის“ რღვევით. მაკამა არ ყოფილა მიღებული მმართველ წრეებში. ის მაშინდელი პროვინციიდან წამოვიდა და ბალდადი, კულტურის ოფიციალური ცენტრი, თავდაპირველად ჟანრის „კანონიერებაზე“ პასუხისმგებლობას არ იღებდა. როდესაც აბასიანთა მონარქიის შესუსტებამ საკარო რიტუალს და კარის პოეზიას (კა' Өდას) საყრდენი გამოაცალა, სწორედ მაშინ შეიძინა განსაკუთრებული პოპულარობა მაკამამ, რომელიც იყო უარყოფილი ადამიანების ლიტერატურა. არაბული პოეზიისგან განსხვავებით აქ არ ჩანდა მმართველების ხოტბა. ის არც ეხებოდა მმართველს და თუ ეხებოდა, მხოლოდ ირონიულად.

საერთოდ, ირონია არის ის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება, რაც პირველ მაკამებსა და პირველ პიკარესკულ რომანს აერთიანებს. ორივე მათგანში იგრძნობა მძაფრი ირონია ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ. პირველ მაკამურ ციკლში ადაბის მთელი რიგი ჟანრებისა და ცადებულების პაროდიება ჩანს. ბევრის აზრით, მაკამებში არსებული ე. წ. ისნადი არის პაროდია მუტამმადის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდების გადამცემთა ჯაჭვისა, რაც როგორც აღვნიშნეთ, ისლამურ სამყაროში მომხდარი ამბის წამდგილობაში, აუთენტურობაში მსმენელის დასარწმუნებლად გამოიყენებოდა.³³ მაკამა არის ლიტერატურული ჟანრი, რომელიც არა მხოლოდ

³¹ აკ. განკერელია, ბოლოსიტყვაობა - ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 97.

³² ადაბი – შუა საუკუნეების კანონიერი არაბული ლიტერატურა; ყველაფერი ის, რისი ცოდნაც იმ ეპოქის განათებულ ადამიანს მოეთხოვებოდა.

³³ იხ: 159, (ნაშრომში 3991 მონას თომას, ფინ ბეი აზმან ჰემდანი ვიკარისკ, "ფინ ბეი", 159), გამოყენებულია არაბული თარგმანი მონორესა სტატიისა, რომელიც პირველად ბეირუთში

საგმირო ეპიკურ მემკვიდრეობასა და ლაზალს დაუპირისპირდა (ალ-ჰამაზ ჰან) მაკამებში ხშირია ირონია ძველ პოეტებზე: მაგ. „ალ-ჰამაზის მაკამა“; ირონია უზრიულ სიყვარულზე: მაგ. „ბაშრის მაკამა“ და სხვ.), არამედ რელიგიურ მემკვიდრეობასაც. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბოლოოდ მასში ყურანი კანონიკურად არის აღიარებული.³⁴

„ლაზარილიო ტორმესელის“ ანონიმი ავტორი სარაინდო რომანის მთავარ გმირს — იდეალურ რაინდსა და რაინდულ რომანტიზმს დასცინის. ლაზარილიოს მესამე ჰატრონი რაინდი იყო, გაღატაკებულ აზნაურს ლუკმა ჰური არ გააჩნდა; მხურვალედ ისმენდა წირვა-ლოცვას, თუმცა მათხოვრობა ეთაკილებოდა. ჰატიოსნებისა და კეთილშობილების შენარჩუნება მისთვის ის იყო, რომ დახმარება არავისთვის ეთხოვა და მისალმების დროს თავი პირველს არ დაეხარა: „პოი, უფალო, რა მრავალნი უნდა იყვნენ ქვეყანაზე ამისთანანი, რომელნიც იმდენს ითმენენ, რაღაცა, როგორც ისინი ამბობენ, ჰატიოსნებისთვის, რამდენსაც ვერ აიტანდნენ შენი გულისთვის!“³⁵ - ამბობდა მისი შემხედვარე ლაზარილიო... მსუნავი მღვდელი და ონბაზი ბერი კი ხალხის დასანახად ლოცულობდნენ. „ლაზარილიო ტორმესელის“ ანონიმი ავტორი, ალ-ჰამაზ ჰანის მსგავსად, ეკლესიის პირფერობასა და მასში გამეფებულ სიყალებს უტევს და არა ძირითად მრნამსს.³⁶

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გმირობისა და რაინდობის დრო დასრულდა. მაკამებშიცა და პიკარესკულ რომანებშიც კარიკატურული რეალობა აისახა და პაროდია გაჩნდა. ეს კი პირველ რიგში მთავარი ჰერსონაჟის — მატყუარა გმირის გამოჩენაში გამოვლინდა, რადგან თაღლითი ჰერსონაჟები ჩნდებიან იქ, სადაც ჰეროიკული ისტორია გადაიქცევა ფარსად.

მაკამებისა და პიკარესკული რომანის შინაარსის შედარებისას მთავარ თემად სწორედ ჰერსონაჟის საკითხი იკვეთება. მათ შორის არის მნიშვნელოვანი მსგავსებაც და განსხვავებებიც:

1. ის, თუ რომელი ქალაქიდანაა პირველი მაკამური ციკლის მთავარი გმირი — ალექსანდრიელი, გაურკვეველია, რადგან ცნობილია, რომ შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლეთში ალექსანდრია ოცდაცამეტ ქალაქს ერქვა. ის, როგორც იმ ჰერიოდში მოხეტიალე მჭევრმეტყველთა განზოგადებული ტიპი, ნებისმიერი მათგანიდან შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენთვის უცნობია მისი დაბადებისა და წარმომავლობის დეტალები. ვიცით მხოლოდ, რომ ეს ჰერსონაჟი განათლებული, მჭერმეტყველი, გონებაბახვილი ადამიანია, ამასთანავე ექსპრომტის დიდოსტატი და პოეტიც. მეორე მხრივ, ის, როგორც უდარდელი მატყუარა, არაბული კანონიკური ლიტერატურის — ადაბის სერიოზული გმირის ანტიპოდად გვევლინება, რადგან ისლამური იდეალის — ღვთისმოსავი, მართალი, მომთმენი, პატიოსანი, პასუხისმგებლობიანი, ღირსების გრძნობის მქონე, პიდაპირი ადამიანის — სრულიად საწინააღმდეგო ტიპია. ალექსანდრიელის საქციელი სრულ წინააღმდეგობაში მოდის ისლამთან. ერთ-ერთ, მე-10 მაკამაში მთავარი გმირი ყიდის ლოცვას, რომელიც თითქოს მოციქულმა მუზამმადმა ასწავლა სიზმარში; ხოლო 23-ე მაკამაში ის სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებს საშინელი ქარიშხლის ამოვარდნისას, გარშემომყოფთ ატყუებს, თითქოს განსაკუთრებულ ამულეტებს ფლობს და კარგ ფასადაც მიჰყიდის კიდეც მათ შეშინებულ ხალხს. ამგვარი ტყუილი შეუფერებელი იყო კლასიკური ჰერიოდის არაბული ლიტერატურის მთავარი გმირისთვის.

მსგავსი მოვლენა მოხდა პიკარესკული თხზულების შემთხვევაში — ევროპული სარაინდო რომანების გაიდეალებული, ყველაფერისშემძლე გმირი, მებრძოლი და შეუპოვარი რაინდი შეცვალა მოხეტიალე გლახაკმა ლაზარილიომ, რომელიც არც

გამოქვეყნდა 1983 წელს: James T. Monroe, *The Art of Badī‘ al-Zamān al-Hamadhānī as Picaresque Narrative* (Beirut, 1983). عبد الفتاح كيليطو، المقامات، السرد والنساق الثقافية، دار تبقال للنشر، الدار البيضاء، 1993)، 109.

³⁴ Monroe, *al-Maqāmāt al-luzumīyyah by al-Saraqūstī ibn al-Ashtarkuwī* (d.538/1143), 10.

³⁵ უცნობი ავტორი, ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება, 53.

³⁶ იქვე, 11, 27..

მათხოვრობას თაკილობს და თუ საჭიროა, ცრუობს კიდეც. ლაზარილიოს შესახებ ვიცით, რომ ის თომე გონსალესისა და ანტონიო პერესის შვილი იყო. ცხოვრობდა სალამანკის მახლობლად, ტენარესში. ტორმესელი კი იმიტომ შეარქეს, რომ ტორმესის წყალში დაიბადა. ლაზარილიო ამის შესახებ გვიყვება: „მამაჩემი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, თხუთმეტ წელინადზე მეტი მენისქვილედ იყო ტორმესის წყლის ნაპირას; იმისი მოვალეობა იყო, საფეხვებზე თვალი სჭეროდა. ერთ ლამეს დედაჩემი, ჩემზედ რომ ფეხმძიმედ ყოფილა, წისქვილში მოსულა, ამ დროს ტკივილები დასწყებია და იქვე, წყლის საგუბარზე მშობა თურმე“.³⁷ რაც შეეხება მის სახელს, ლაზარილიოს, ის ლაზარეს კნინობით-ალერსობითი ფორმაა და სახარებიდან უნდა იყოს აღებული. ბიბლიური ლაზარე ორია: ერთი ის, რომელიც ოთხი დღის მკვდარი იესომ მკვდრეთით აღადგინა და მეორე — გლახაკი, რომელიც მდიდრის ნასუფრალით ირჩენდა თავს. ლაზარილიო უფრო მეორეს განასახიერებს. რაოდენ სიმბოლურია, რომ მისი მეორე პატრონი სასულიერო პირია, მღვდელია, რომელსაც ჩარაზული და დათვლილი აქვს საჭმელი (ლაზარილიომ რომ არ მოპაროს), თავის ქვეშევრდომს კი საკუთარი ნასუფრალით, ნარჩენებითა და ნამცეცებით უმასპინძლდება. ავტორი თითქლს მიგვანიშნებს, სად ერგება საიქიოში ადგილი ამ სასულიერო პირს, რომელიც სახარებისეული „მდიდრის“ როლში გვევლინება. შიმშილისგან ლონემიხდილ ლაზარილიოს სიარულის თავიც არა აქვს და რა ხერხს აღარ მიმართავს, საკვები რომ მოიპოვოს, თუნდაც ეს ტყუილის ფასად დაუჯდეს.

2. მაკამებისა და პიკარესკული თხზულების მთავარი გმირები, თავიანთი თაღლითური ქმედების მიუხედავად, მკითხველისა (თუ მსმენელის) თანაგრძნობას იმსახურებენ.

ალექსანდრიელი ჯერ ხალხმრავალ ადგილას რელიგიასა და მორალზე ქადაგებს, შემდეგ კი უბრალო ხალხს ატყუებს. მან მშვენივრად იცის, რომ ცუდად იქცევა, რომ მისი საქციელი — ტყუილი — მორალური თვალსაზრისით გაუმართლებელია, მაგრამ მაინც დგამს ამ ნაბიჯს. თუმცა მკითხველი (მსმენელი) მაინც მას გულშემატკივრობს, სიძულვილით არ იმსჭვალება მის მიმართ. ამით მაკამების ავტორი გვიჩვენებს, რომ ალექსანდრიელი თვითონ კი არ არის ცუდი, არამედ ის გარემოებებმა აიძულეს, რომ თავისი განათლებულობის მიუხედავად მათხოვრობით ერჩინა თავი, სხვის ხარჯზე ეშვოვნა სარჩო. ის ცხოვრობს ისეთ ქვეყანაში, ისეთ სოციალურ გარემოში, სადაც შეუძლებელია ისლამის პრინციპებით არსებობა. ანტიგმირი, რომელიც პირველ მაკამურ ციკლში გვხვდება, შემდგომ მაკამურ ციკლებში (მაგ. ალ-ठარठ-ოს-თან) კიდევ უფრო რთულ ფსიქოტიპად ყალიბდება (ბოლოსნინა მაკამაში თავისნაირ მოხეტიალებს აქვს და ადიდებს, ხოლო ბოლო მაკამაში სინაულით აღსავს პატიებას სთხოვს ალაპს, თითქლს საკუთარ თავს ენინააღმდეგება). მაშასადამე, მაკამების პერსონაჟი გვევლინება ადამიანური სისუსტეების მატარებელ გმირად, რომელიც არც ბოლომდე კარგია და არც ბოლომდე ცუდი. ის არ არის ცალსახად უარყოფითი ან დადებითი პერსონაჟი. ასეთი პერსონაჟის არსებობა წარმოუდგენელი იყო X-XII სს-ების ევროპულ ლიტერატურაში. შუასაუკუნეებში, მაშინ, როდესაც გმირს ხატავდნენ ან კარგს, დადებითს, კეთილს ან – ცუდს, უარყოფითს, ბოროტს, ასეთი რეალისტური ხასიათის შექმნა შინაგანი კოლიზიებითა დაწინააღმდეგობებით ძალიან საინტერესო მოვლენად გვესახება.

ლაზარილიოც სწორედ რომ მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებს და ამით ის მაკამების მთავარ გმირს წააგავს. ისიც ანტიგმირია იმიტომ, რომ თაღლითია და მატყუარა. ხშირად ირჩევს არაპატიონსან გზას, მაგრამ მკითხველი იმასაც კარგად ხედავს, რომ მას უბრალოდ სხვა არჩევანი არა აქვს. ეს არის მისი თვითგადარჩენის გზა. ლაზარილიო საოცრად ადამიანურია. მას ისე ებრალებოდა თავისი მესამე პატრონი — გალატაკებული აზნაური, რომ ზოგჯერ თვითონ მშიერი რჩებოდა და მას აჭმევდა. ლაზარილიო არ არის თვალთმაქცი, განსხვავებით აზნაურისგან, რომელიც

³⁷ იქვე, 6.

შშიერი იყო და თავი მაღლა ეჭირა, სხვების დასანახავად კბილებს იწმენდდა და სხვ. მას შეუძლია თანაგრძნობა და ბევრი კარგი თვისებაც აქვს.

ალექსანდრელსა და ლაზარილის შორის მთავარი მსგავსება ისაა, რომ მათი უსაქციელობის საბაბი მათ გარეთაა და არა მათ შინაგან სამყაროში. ისინი არიან „პატიოსანი თაღლითები“. ასეთი ტიპის „დადებით ანტიგმირზე“, რომელიც ბევრი მეცნიერის აზრით, არის სწორედ ის, რაც შესაძლოა პიკარესკულმა რომანმა გადაიღო მაკამებისგან, უამრავი ლიტერატურაა შექმნილი. თაღლითი პერსონაჟი სოციალური გარემოს გასაკრიტიკებლად ევროპულ მწერლობაშიც გაჩნდა (სერვანტესთან და მერე სხვებთანაც) და ქართულშიც. ყველა მათგანს მოერგება როსტომ ჩხეიძის მიერ დ. კლდიაშვილის პერსონაჟის სოლომონ აშორდიას შესახებ დაწერილი სიტყვები: „თავისი სიტყვის პატრონი თაღლითი, კეთილშობილი ავანტიურისტი, პატიოსანი ცრუპენტელა — ურთიერთგამომრიცხავ თვისებათა ასეთი შეთავსება დაუჯერებელია და გვინია, რომ რეალობაში არც არსად მოიძებნება მისი ხორცშესხმული განსახიერება.“³⁸ ასეთი ტიპის გმირის გაჩენის საბაბიცა და „გასამართლებელი საბუთიც“ ყოველთვის რეალობაშია.

მაშასადამე, მაკამისა და პიკარესკული რომანის „ახალი ტიპის გმირი“ დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება, რომლისთვისაც უცხო არ არის მათხოვრობა. ეს „გმირი“ იძულებულია, ტყუილითა და გამჭრიახობით ირჩინოს თავი ამორალურსა და გახრწნილ საზოგადოებაში. მიუხედავად მორალური თუ რელიგიური თვალსაზრისით გაუმართლებელი საქციელისა, ის მკითხველის თანაგრძნობას იმსახურებს. სწორედ ამით გვავს ეს ორი ანტიგმირი ერთმანეთს – თაღლითობის მიუხედავად, ისინი მკითხველის მიერ არ აღიქმებიან უარყობით პერსონაჟებად.

3. ალექსანდრელსა და ლაზარილიო ტორმესელს შორის არსებობს განსხვავებაც. მიუხედავად იმისა, რომ მაკამების პროტაგონისტიცა და პიკაროც ხშირად იცვლიან სახეს, მაკამების შემთხვევაში ეს სახეცვლილება მოტივირებულია იმით, რომ მთავარი გმირი, რომელიც ან ქადაგებს, ან შეიხის, ან ყადის, ან მათხოვრის ფორმაშია, ვერ უნდა იცნონ. გაღატაკებული ლაზარილიო კი ხშირად იცვლის „პროფესიას“, ხან სად და ხან რა ხერხით ცდილობს, მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს. ორივე შემთხვევაში გმირის სახეცვლილების ან საქმიანობის შეცვლის მიზანი სარჩოს მოპოვებაა, თუმცა თუ ლაზარილი ერთი ვახშის შოვნითაც კმაყოფილია, პიკაროს უფრო შორს მიმავალი გეგმები ამოძრავებს — მას წყნარი ცხოვრება უნდა და არა ხეტიალი. ორივე მათგანი იოლი გამდიდრების მოსურნე გმირია, რომლებიც უარს არ ამბობენ, იცრუონ ან სხვადასხვა როლი მოირგონ ამ მიზნის მისაღწევად. თუმცა თუ ლაზარილოს საბოლოოდ სადმე მშვიდად დამკვიდრება სურს, მაკამების გმირი მომავალზე ნაკლებად ფიქრობს და ერთი დღის სამყოფითაც კმაყოფილია. როდესაც არაბული მაკამები დასავლურ ენებზე ითარგმნა, ევროპელ მკითხველს ლიმილს გვრიდა ის ფაქტი, რომ მაკამების გმირს შეეძლო, მთელი თავისი ცოდნა და ერუდიცია მხოლოდ ერთი სადილის თუ ვახშის მოსაპოვებლად გამოეყენებინა. რენანს (1823-1892) მიაჩნდა, რომ მსგავსი გმირის არსებობა შეუძლებელი იყო ევროპაში.³⁹ ევროპელი გმირი თითქოს მეტი რაციონალიზმით უნდა გამოირჩეოდეს. პიკარო არ ჩანს ისეთი ერუდირებული, როგორც მაკამების პერსონაჟია. ეს მცირე განსხვავებაც შეინიშნება მაკამებისა და პიკარესკული რომანის თაღლით პერსონაჟებს შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურულ ნაწარმოებში ამ ტიპის მატყუარა გმირის (ანტიმირის) არსებობას უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების კრიტიკის, სოციალური უსამართლობის ასახვის თემაც. ასეთ შემთხვევაში არაცალსახად ცუდი ან კარგი პერსონაჟის ცუდი საქციელის მაპროვოცილებელი ყოველთვის არის გარემო, საზოგადოებაში გაბატონებული უსამართლობა, ზოგჯერ კი კონკრეტული პიროვნებები. მაკამების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს სასამართლოს მოხელე, რელიგიური პირი, სულელი მმართველი, რომლებიც

³⁸ რ. ჩხეიძე, თაღლითის პატიოსნება - ჩვენი მწერლობა, 2 (2008), 16.

³⁹ E. Renan, *Les Séances de l'aristé, Essais de Morale et de Critique*. (Paris: Calmann-Lévi ed., 1859), 30.

უარყოფით პერსონაჟებად არიან წარმოჩენილნი, ხოლო „ლაზარილიო ტორმესელის“ შემთხვევაში – პოლიციელი, შენდობის ქაღალდების გაყიდველი, მღვდელი... მაგრამ მთავარი ისაა, რომ პრიტაგონისტი ეწინააღმდეგება, არ თანაუგრძნობს და არ ემორჩილება მათ. როგორც მონროუ აღნიშნავს, „მაკამები იყო პირველი მხატვრული პროზაული ქმნილება არაბულ ლიტერატურაში, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების კრიტიკას შეიცავდა. ინდივიდების (უსამართლო ყადისა თუ უსინდისო შეიხის...) და არა ინსტიტუციების მიმართ გამოთქმული ჯერ კიდევ პრიმიტიული კრიტიკა იმ დროისთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. მაშინ, როცა დასავლური ლიტერატურა ხატვდა პერსონაჟებს, რომელებიც, მკაცრი მორალის გარემოთი შემოფარგლულნი, ან კარგები იყვნენ, ან ცუდები (სარაინდო რომანების გმირები), კლასიკურ მაკამებში გაჩნდა საზოგადოების კრიტიკა — ერთგვარი განაცხადი, რომ ადამიანი კი არ უნდა მოერგოს და დამორჩილდეს გარემოს, არამედ უნდა შეიცვალოს სოციალური პირობები, რომელიც გმირს ამ დღეში აგდებს. შუასაუკუნეების ევროპაში ამგვარი კრიტიკა წარმოუდგენელი იყო. პირველად სერვანტესმა დაარღვია ტაბუ. ის იყო პირველი ევროპული ლიტერატურის ისტორიაში, ვისთანაც კრიტიკა იმ კანონებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგაა მიმართული, რომელშიც ინდივიდი იჭყლიტება. სერვანტეს იმის თქმა სურდა, რომ ადამიანი არ უნდა იყოს შეზღუდული გარემო პირობებით და უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება. „შეცვალე სისტემა“ — ეს დაინახეს სერვანტესის შემოქმედებაში დიკენსმა, ბალზაკმა და სხვა რომანისტებმა.⁴⁰

არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ კუთხით მაკამების გავლენა ევროპულ რომანზე ესპანური ლიტერატურის გავლით განხორციელდა. თუმცა დღემდე დაზუსტებით ვერავინ ამბობს, კონკრეტულად რა გზით მოახდინა გავლენა არაბულმა მაკამამ ესპანურ პიკარესკულ პროზაზე.

ჩვენ მიერ განხილული წარმოებების სიუჟეტის ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მსგავსება:

1. ორივე წარმოები მხატვრული თხზულებებია, სადაც ასახულია კარიკატურული რეალობა.
2. ორივე მათგანში იგრძნობა ირონიული დამოკიდებულება მემკვიდრეობით მიღებულის მიმართ.
3. ორივე მათგანში წარმოდგენილია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენა.
4. ორივე მათგანში არის ანტიგმირი, რომელიც სოციალური გარემოს კრიტიკას ემსახურება.

გამოვლინდა განსხვავებანიც:

1. მაკამებში დრო და სივრცე წყვეტილია, ხოლო პიკარესკულ რომანში თხრობა ქრონოლოგიურ პრინციპს ეყრდნობა.

2. მაკამებისთვის, როგორც შუასაუკუნეების ძეგლისთვის, დამახასიათებელია სიუჟეტის ერთგვაროვანი განვითარება, მოქმედებათა პირობითობა, სიტუაციების სტერეოტიპულობა, მანერულობა, ხოლო პიკარესკული რომანისთვის – არა.

ორი წარმოების შედარებით გამოიკვეთა, რომ პირველ პიკარესკულ თხზულებაში „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ არის აღმოსავლური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი ისეთი გარეგანი ნიშნები, როგორიცაა ეპიზოდური სტრუქტურა და პირველ პირში თხრობა. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ პიკარესკულმა ჟანრმა ჩარჩოვანი ფორმა სწორედ არაბული მაკამებიდან აიღო, რადგან ეს სისტემა მთელს აღმოსავლურ სამყაროში იყო გავრცელებული. პირველ პირში თხრობას (ანუ მთხოველი-თვითმხილველის არსებობას) აღმოსავლეთში კონკრეტული მოტივაცია გააჩნდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პიკარესკულმა რომანმა ამ თვალსაზრისითაც აღმოსავლური ლიტერატურის გავლენა განიცადა. მაკამების ფორმალური ნიშნებიდან პიკარესკულ რომანში არ ჩანს გარითმული

⁴⁰ J.T. Monroe, (translator and author of the Introduction), *al-Maqāmāt al-luzumīyyah by al-Saraqustī ibn al-Ashtarkuwī*, 18.

პროზა და ფიქტიური ისნიდი (ლაზარილიო ხომ საკუთარ თავს გადამხდარ ამბავს ჰყება და არა სხვისას). ნაწარმოების ფორმის ეს ორი თავისებურებაც მაკამურ ციკლში არაბული კულტურის წიაღში არსებული ტრადიციიდან გაჩნდა და ის ესპანურ ლიტერატურაში არ გვხვდება.

რაც შეეხება სიუჟეტურ თავისებურებებს, აქ არსებული ორივე განსხვავება ბუნებრივია და განპირობებულია იმით, რომ მაკამები, პიკარესკული რომანისგან განსხვავებით, შუასაუკუნეების ტიპური ნაწარმოებია. რაც შეეხება მსგავსებას, აშვარაა, რომ ორივე მათგანს გამოარჩევს მხატვრული ორიგინალობა, ირონიული დამოკიდებულება მემკვიდრეობის მიმართ; ის, რომ ამ უანრების დაბადების მომენტში გარკვეული სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ლიტერატურულ ნაწარმოებებში გაჩნდა ირონიული ქვეტექსტი. როგორც არაბულ, ასევე ესპანურ მწერლობაში ეს გახლდათ ჰეროიკული ეპოქის ფარსად გადაქცევის ეტაპი. განსაკუთრებით საინტერესოა, როდესაც იგივეობის ესთეტიკით შექმნილ მაკამებში ჩანს ასეთი ირონიული ხედვა; ერთი მხრივ, ავტორი არ არღვევს ლიტერატურულ ეტიკეტს, მეორე მხრივ, ის ახერხებს, მასხრად აიგდოს კანონიკური ლიტერატურა.

ყველაზე ხშირად ამ ორი უანრის ნაწარმოებებზე მსჯელობისას მთავარ თემად სოციალური გარემოს გასაკრიტიკებლად გაჩენილი ანტიგმირი იკვეთება, რადგან მოხეტიალე და უპოვარი ე.წ. „პატიოსანი თაღლითი“ არის ის, რაც შესაძლოა სწორედ მაკამებიდან გადაელო პიკარესკული რომანის უცნობ ავტორს. ამასთან დაკავშირებით არაერთ არაბ, ესპანელ, დასავლეთ ევროპელ თუ ამერიკელ მეცნიერს აქვს გამოთქმული მოსაზრება. ერთი მხრივ, ევროცენტრისტი მეცნიერები „ლაზარილიო ტორმესელისა“ და საერთოდ, სარაინდო რომანის საპირისპიროდ აღმოცენებული პიკარესკული უანრის მოდელების სათავეს ელინისტურ და გვიან რომაულ ტრადიციაში ხედავენ, ხოლო გარე გავლენას თითქმის მთლიანად გამორიცხავენ. (პიკარესკული რომანის წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს გაიუს პეტრონიუსის (+66) „სატირიკონი“, ლუციუს აპოლეიუსის (124-180) „ოქროს ვირი“.⁴¹) მეორე მხრივ, მაგალითად, არაბი მკვლევარი ალ-ტამითი თვლის, რომ ესპანელებმა სწორედ მაკამებიდან გადაიღეს ლიტერატურული გმირი.⁴² ჰილალიც ხაზს უსვამს იმას, რომ ესპანური პიკარესკული რომანის გმირი უპოვარი პიკარო მაკამების გმირის მსგავსი მოხეტიალე თაღლითი პერსონაჟია⁴³ და სხვ. თუმცა ვერავინ ადასტურებს ან ამტკიცებს როგორც უტყუარ ფაქტს, რომ ესპანურ ლიტერატურაში პერსონაჟის, თაღლითი ტიპაჟის გადაღება ნამდვილად არაბული მაკამებიდან განხორციელდა.

ფაქტია, რომ კლასიკური მაკამები შეიცავს ანტიგმირს და ამით საერთო გამოეძებნება პეტრონიუსის „სატირიკონსა“ და აპულეიუსის „ოქროს ვირთან“, „ლაზარილიო ტორმესელთან“ და სხვა პიკარესკულ თხზულებებთან... ვერასოდეს გავიგებთ, იცნობდა თუ არა ალ-ჰამაზანი გაიუს პეტრონიუსის (+66) „სატირიკონს“ და ლუციუს აპოლეიუსის (124-180) „ოქროს ვირი“ ან წაკითხული ჰქონდა თუ არა „ლაზარილიო ტორმესელის“ უცნობ ავტორს არაბული და ებრაული მაკამები. მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქვას ამასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ მაკამების შემთხვევაში მასზე ანტიკური მწერლობის გავლენა უფრო საჭვალა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი არაბეთის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც პირდაპირ ხელს უწყობდა გაღატაკებული მოხეტიალე მწიგნობრების ფენის გაჩენას და ამ ფენას თავად უანრის შემქმნელად აღიარებული ალ-ჰამაზანი მიეკუთვნებოდა, ნაკლებსავარაუდოდ მოგვეჩვენება, რომ მან „სატირიკონი“ წაიკითხა და იქიდან გადაიღო მატყუარა ანტიგმირი. ალექსანდრიელის მსგავსი

⁴¹ პ. იაშვილი, პიკარესკული რომანი - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, (თბილისი, 1984), 60.

⁴² علي عبد المنعم الحميد، أدب المقاومة، الشركة النصرية العامة للنشر، القاهرة، 198.

⁴³ محمد غنيمي هلال ، الأدب المقارن، دار النهضة مصر للطبع والنشر، القاهرة، ط. 3. 1996. 55.

მოხეტიალე თაღლითებით სავსე იყო იმდროინდელი არაბული საზოგადოება. ხოლო პიკარული რომანის შემთხვევაში არც ისაა გამორიცხული, რომ რენესანსულ ეპოქაში სწორედ ელინისტურ-რომაული მწერლობა აღორძინდა და არც ის აზრია უკუსაგდები, რომ არაბულ-ებრაულმა მაკამებმა მოახდინა მასზე გავლენა. მით უფრო, რომ ცნობილი ფაქტია — კლასიკური არაბული მაკამები, რომლის მიბაძვითაც კორდოვის სახალიფოში არაერთი ებრაული მაკამური ციკლი შეიქმნა, ესპანურ არაბეთში პოპულარობით სარგებლობდა. არის დიდი აღბათობა იმისა, რომ პირველი პიკარესკული თხზულების ავტორი იცნობდა მაკამურ ციკლებს და მისი გავლენის ქვეშ შეიძლებოდა მოქცეულიყო მიუხედავად იმისა, რომ ამ არაბული მხატვრული ფორმის ესპანეთში გავრცელებიდან სამი საუკუნე მაინც იყო გასული. ამგვარი ურთიერთგავლენები ხომ ჩვეულებრივი რამ იყო XIII-XV სს-ის კორდოვის სახალიფოში, სადაც არაბულ-მუსლიმური, ესპანურ-ქრისტიანული და ებრაულ-იუდეური ტრადიციები შერწყმოდა ერთმანეთს.⁴⁴

შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1) პირველ პიკარესკულ რომანზე უშუალოდ მაკამის ფორმის გავლენის ფაქტი არ დასტურდება, თუმცა „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრებაში“ თვალსაჩინოა ზოგადად აღმოსავლური სიუჟეტური ხერხების არსებობა;

2) ნაწარმოებებში არსებული ირონიულობის საბაბი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცვლილებებშია საძიებელი. ამ მხრივ, მსგავსება უფრო შემთხვევითია;

3) პიკარესკული რომანის ავტორს შესაძლოა გადაედო მაკამების თაღლითი გმირის ტიპაჟი, რაც მეტად სავარაუდოა, თუმცა დღეს ამის მტკიცებაც რთულია.

ფაქტი ერთია, არაბულმა მაკამამ რამდენიმე საუკუნით დაასწრო რენესანსულ ესპანურ პიკარესკულ რომანს სხვადასხვა სოციალური ფენის ნარმომადგენელი მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, არაცალსახად ცუდი ან კარგი განზოგადებული ტიპების ხატვის, მხატვრული სინამდვილის შექმნისა და პრიმიტიული სოციალური კრიტიკის თვალსაზრისით და ეს ყველაფერი, X-XII სს-ის არაბულ მწერლობაში, ლიტერატურული კანონის ზეობის პირობებში, მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

⁴⁴ ცნობილია, თუ რა ღრმად შეიქრა შუა საუკუნეების არაბული კულტურა ესპანურენოვან სამყაროში. მთელი აღორძინებამდელი ევროპული მწერლობა განიცდიდა აღმოსავლური ლიტერატურის გავლენას, რაც მხოლოდ პროზაული ნაწარმოებების ლათინურად, კატალონიურად თარგმანსა და სხვადასხვა მოტივებისა თუ ფაქტულების გავრცელებაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ მთელი ლიტერატურული ჟანრების გადალებაში. არაერთი პიპოთეზაა გამოთქმული არაბული კარის სასიყვარულო პოეზის — ლაზალის პროვანსალურ ლირიკაზე გავლენის შესახებ, საგმირო ეპოსის ესპანურ ეპიკურ პოეზიაზე გავლენის თაობაზე და ა.შ.

